ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა
და საინჟინრო ფაკულტეტი

# სამაგისტრო პროგრამა

## სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

ბუნებათსარგებლობა (MBA)

2015

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი

# სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

### ბუნებათსარგებლობა (MBA)

ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი: A
საუნივერსიტეტო გამოცდის ტიპი: გასაუბრება
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში
(MBA in Natural Resourses Management)

## მოკლე აღწერა:

პროგრამის მიზანია მაგისტრანტის აღჭურვა არჩეული მიმართულების ღრმა და სისტემური ცოდნით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, არსებული მეთოდების გამოყენებისა და ანალიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევებით, სპეციფიკური და თანამედროვე ცოდნით. ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრები დამატებით შეიძენენ მენეჯერულ უნარებს ბუნაბათსარგებლობაში.

## დასაქმების სფეროები:

ბუნებათსარგებლობის (MBA) მიმართულების კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: ადმინისტრაციასა და მართვის შემდეგ სფეროებში - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების შესაბამის ქვედანაყოფებში, ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტულ სააგენტოებსა და კომპანიებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, რომელსაც ექვემდებარება დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები); ასევე, კორპორაციულ სექტორში - ინფრასტრუქტურის განვითარების საერთაშორისო და ეროვნულ კომპანიებში; ბიორესურსების გამოყენების დაგეგმვისა და მართვის, ველური ბუნების დაცვის საკონსულტაციო ფირმებსა და ინსტიტუტებში; სამონადირეო მეურნეობებში; შესაბამისი პროფილის ადგილობრივსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, მათ პროგრამებსა და პროექტებში; მულტილატერალური და ბილატერალური დონორების ეროვნულ ოფისებში, მათ პროგრამებსა და პროექტებში.

## საკონტაქტო ინფორმაცია


საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი
თბილისი, მ. თამარაშვილის N4
ტელ: (995 32) 2 39 00 91

sciences_engineering@iliauni.edu.ge
www.iliauni.edu.ge